



ბანათლების ხარისხის მანვიტარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

**აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ**

**„ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

შეფასების თარიღი: 21.01.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი: 23.02.2021

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ბიოლოგია
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ბიოლოგიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ბიოლოგია 0511
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადანაცვებების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №39, 23.09.2011

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკა ლევსვერიძე, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
--	--

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წვერი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირინა ნაკაშიძე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წვერი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ხატისაშვილი ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

აწსუ-ში ბიოლოგიის მიმართულების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები დაარსების დღიდან ხორციელდება და თითქმის 90 წელს ითვლის. ამჟამად საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ბიოლოგია“ შედგება ე.წ. major და minor კომპონენტებისგან. major კომპონენტი 180 კრედიტიანია და გულისხმობს I. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსებს - 120 კრედიტი; II. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის არჩევით სასწავლო კურსებს - 20 კრედიტი; III. თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსებს - 35 კრედიტი; IV. თავისუფალი კომპონენტის არჩევით სასწავლო კურსებს - 5 კრედიტი. minor კომპონენტი 60 კრედიტიანია და მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კურსების დიდ ნაწილს. ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები სხვა სპეციალობის minor კომპონენტს ირჩევენ. minor კომპონენტი 240 კრედიტიანი პროგრამის სავალდებულო ნაწილია. პროგრამა უზრუნველყოფილია ადამიანური, სასწავლო-მეთოდური რესურსებითა და ძირითადი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. მასში მონაწილეობს 31 აკადემიური პერსონალი და ენათა ცენტრის მასწავლებლები, პროგრამაში მონაწილე პერსონალი არ მონაწილეობს. უნივერსიტეტს აქვს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი ბიბლიოთეკა, რომელიც ფლობს პროგრამისთვის საჭირო ლიტერატურას. უნივერსიტეტს გააჩნია უმაღლესი ნერვული მოქმედების კვლევითი ლაბორატორია, გენეტიკის ლაბორატორია, ჰერბარიუმი, მიკრობიოლოგია-ვირუსოლოგიის ლაბორატორია, ადამიანის ნორმალური ანატომიის ლაბორატორია, ციტოლოგია, ჰისტოლოგიის ლაბორატორია, მცენარეთა ბიოლოგიის ლაბორატორია, ზოოლოგიის და ეკოლოგიის კაბინეტი, ზოოლოგიის მუზეუმი. პროგრამა აკრედიტაციის პროცესისთვის ინტენსიურად დამუშავდა, შეიცვალა, მოემზადა და მოერგო მოქმედ აკრედიტაციის სტანდარტებს. ასევე აღსანიშნავია, რომ წინა აკრედიტაციის მიხედვით,

პროგრამა ანიჭებდა „საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი ბიოლოგიაში“ კვალიფიკაციას, ხოლო რეაკრედიტაციაზე წარმოდგენილი პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შემდეგ მისანიჭებელი კვალიფიკაცია იქნება „ბიოლოგიის ბაკალავრი“.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

საქართველოსა და მთელ მსოფლიოში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე აკრედიტაციის ვიზიტი შედგა დისტანციურ ფორმატში (21.01.2021). ვიზიტმა მოიცვა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი - შეხვედრები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ონლაინ დათვალიერება. ვიზიტში მონაწილე მხარეებს ჰქონდათ კონსტრუქციული და თანამშრომლობითი დამოკიდებულება. პროგრამაში ჩართულმა პერსონალმა საშუალება მოგვცა გვენახა ლაბორატორიები, ზოოლოგიის მუზეუმი, ჰერბარიუმი, სასწავლო აუდიტორიები, ანსუ-ს ბიბლიოთეკა. შეხვედრებმა მშვიდ და სასიამოვნო ატმოსფეროში ჩაიარა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამა სტანდარტების უმეტესობაში შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, მხოლოდ ერთი სტანდარტი - სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან. აღსანიშნავია, რომ იგრძნობა პროგრამაში ჩართული პერსონალის (როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული) დიდი მონდომება და მზაობა პროგრამის მუდმივი განვითარების/დახვეწის თვალსაზრისით. განხორციელდა SWOT ანალიზი და განისაზღვრა განვითარების შემდგომი მიმართულებები, გამოწვევები და საჭიროებები. პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული და მიღწევადია, თუმცა არ არის ასახული ინტერნაციონალიზაციის საკითხები. სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მიზნებთან, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შესაბამეა მოქმედ კანონმდებლობას. სტუდენტები იღებენ, კვალიფიციურ კონსულტაციებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე. პროგრამაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობასა და ანსუ-ის შიდა რეგულაციებს. სასურველია თუ მოხდება პერსონალის გააქტიურება და ნახალისება ადგილობრივი და საერთაშორისო გრანტების მოპოვების თვალსაზრისით და სამეცნიერო პროექტების გამოქვეყნების კუთხით უფრო მაღალი სამეცნიერო ღირებულებისა და ხარისხის

საერთაშორისო ჟურნალებში. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია არა მხოლოდ აკადემიური მოღვაწეობის, არამედ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გამოცდილებაც. პროგრამა უზრუნველყოფილია საბიბლიოთეკო და ძირითადი მატერიალური და ტექნიკური რესურსით, თუმცა ყურადღება უნდა გამახვილდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომ განახლებასა და თანამედროვე სტანდარტებთან გათანაბრებაზე. პროგრამის ბიუჯეტი დგება უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენის ზოგადი ფორმის მიხედვით და სასურველია ადაპტირდეს ბიოლოგიის პროგრამასთან და მოერგოს მის სპეციფიკაციას. პროგრამა განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს სწავლების ხარისხის განვითარების პროცედურებსა და რეგულარულ შიდა და გარე შეფასებებზე.

▪ რეკომენდაციები

- პროგრამის მიზანში უნდა აისახოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხები, რაც 21-ე საუკუნის გლობალიზაციის პირობებში, სასწავლო პროგრამების განვითარებისა და წარმატებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.
- უნდა მომზადდეს ბევრი საპროექტო წინადადება როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო ფონდებისთვის და გაიზარდოს პერსონალის ჩართულობა სამეცნიერო პროექტებში.
- მაქსიმალურად თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გახდეს სასწავლო და სამეცნიერო აღჭურვილობა და ლაბორატორიული დანადგარები.
- ბევრი საგრანტო წინადადება მომზადდეს, რომლის ბიუჯეტის დიდი ნაწილიც კონცენტრირდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება/განახლებაზე.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასწავლო კურსებში პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობებზე დათმობილი საათები გაიზარდოს მათი სპეციფიკისა და თავისებურებების გათვალისწინებით.
- სასურველია პროგრამაში მკაფიოდ და ნათლად ჩანდეს, რომ მე-5 კომპონენტის, კერძოდ, დამატებითი (minor) პროგრამის (60 ECTS) კრედიტებს სტუდენტი ირჩევს სხვა დამატებითი (minor) პროგრამებიდან.
- პროგრამის განვითარებისთვის განსაკუთრებით სასარგებლო იქნება სტუდენტებს ჰქონდეთ, თუნდაც არჩევითი სახით, საბაკალავრო ნაშრომის/კვლევითი პროექტის მომზადების შესაძლებლობა. ვფიქრობთ, აღნიშნული სტუდენტს დაეხმარება დამოუკიდებელი სამეცნიერო პროექტის განხორციელებისთვის საჭირო მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების გამომუშავებაში.
- კარგი იქნება მონვეული პერსონალის ჩართვა, რაც მრავალფეროვნებას და ახალ პერსპექტივებს შეიტანს პროგრამაში.

- სასურველია პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესება, რაც გაზრდის მათ სამეცნიერო პროექტებში წარმატებით მონაწილეობის შესაძლებლობას.
- სასურველია პერსონალი წახალისდეს და დატრენირდეს საპროექტო წინადადებების მომზადებაში.
- სასურველია აქცენტი გაკეთდეს კვლევების გამოქვეყნებაზე ისეთ სამეცნიერო ჟურნალებში, რომლებიც შედის SCOPUS და Web of Science-ის ბაზებში და განისაზღვროს გამოსაქვეყნებელი ჟურნალების მინიმალური იმპაქტ ფაქტორი.
- აჯობებს ბიუჯეტის შედგენის წესი/ფორმა ადაპტირდეს ბიოლოგიის პროგრამისთვის და მეტი აქცენტი გაკეთდეს ლაბორატორიების განახლებაზე.
- კარგი იქნება, თუ პროგრამის შეფასების პროცესში უცხოელი ექსპერტიც ჩაერთვება.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

▪ **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის კურიკულუმის ძირეული გადახედვა განხორციელდა, დაემატა რამდენიმე მნიშვნელოვანი საგანი, ინტენსიური გახდა ინგლისურის სწავლება, შედეგები გადაიხედა და გაიწერა აკრედიტაციის სტანდარტების ამჟამინდელი მოთხოვნების შესაბამისად, გაკეთდა კურიკულუმის რუკა სადაც აისახა თუ რომელი საგანი რა დონით უზრუნველყოფს ამა თუ იმ შედეგზე გასვლას.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნებს და გულისხმობს სტუდენტისთვის ბიოლოგიურ მეცნიერებებში ფართო ცოდნის მიცემას. პროგრამის მიზანი მიღწევადია და ნათლად ასახავს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომლებიც კურსდამთავრებულებს ჩამოყალიბდებათ. კერძოდ, მიზანში ჩანს, რომ პროგრამა ორიენტირებულია როგორც თეორიული ცოდნის მიცემაზე, ასევე პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე და საქმიანობის ეთიკის პრინციპებისა და გარემოს უსაფრთხოების წესების დაცვით წარმართვის უნარის განვითარებაზე. იმის განთვალისწინებით, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი წარმოადგენს მრავალდარგოვან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას რომელიც ისწრავის უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება და კვლევითი საქმიანობა, პროგრამის მიზანი სრულ შესაბამისობაშია უსდ-ს მიზანთან. გარდა ამისა, მიზანში გათვალისწინებულია საზოგადოების განვითარების მოთხოვნები და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები, რამდენადაც გაკეთებულია აქცენტები ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორებიც არის ბიომრავალფეროვნების დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები და ბიოტექნოლოგია. მიზანში არ იკვეთება პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხები. ბიოლოგიის პროგრამის აღწერა, რომელიც მოიცავს პროგრამის მიზნების ჩამონათვალს ხელმისაწვდომია ანსუ-ის ვებგვერდზე, საჯაროა და როგორც ინტერვიუებისას გამოიკვეთა გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირებისა და სტუდენტების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- საბაკალავრო პროგრამები (atsu.edu.ge)
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა
<https://atsu.edu.ge/index.php/strategic-plan-geo>
- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა
<https://atsu.edu.ge/index.php/exact-strategic-plan-geo>

რეკომენდაციები:

- პროგრამის მიზანში უნდა აისახოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხები, რაც 21-ე საუკუნის გლობალიზაციის პირობებში, სასწავლო პროგრამების განვითარებისა და წარმატებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების

- განსაზღვრულ საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შევსებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს კურსდამთავრებულის ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელიც სწავლის პროცესში მიიღწევა. კერძოდ, ხაზს უსვამს რომ კურსდამთავრებული ფლობს ბიოლოგიის დარგში ფუნდამენტურ თეორიულ ცოდნას, ახორციელებს უსაფრთხოების წესების დაცვით კვლევის მეთოდების ცოდნის დემონსტრირებას, აკეთებს მიღებული მონაცემებიდან დასკვნებს, იცავს ეთიკურ პრინციპებსა და გარემოს უსაფრთხოების წესებს. ზემოთ თქმული მიუთითებს, რომ პროგრამისთვის განსაზღვრული სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. შედეგები ჩამოყალიბებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის საკვალიფიკაციო აღმწერის მოთხოვნების მიხედვით და შეესაბამება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მუხლი 3-ით განსაზღვრულ შინაარსს სწავლის სფეროსთვის - 0511 ბიოლოგია. პროგრამისთვის განსაზღვრული სწავლის შედეგები კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებთან შესაბამისობაშია და განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის საფუძველს ქმნის. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის და იმის დასადგენად, თუ რამდენად აძლევს პროგრამის შინაარსი სტუდენტებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის საშუალებას გაკეთებულია კურიკულუმის ანალიზი და რეალისტურად განსაზღვრულია თუ რომელი სასწავლო კურსი უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის განვითარებას სამი პროგრესული დონით - I - (introduction/გაცნობა); P - (practicing/გაღრმავება); M - (mastering/განმტკიცება). პროგრამას სწავლის შედეგებისთვის ჩამოყალიბებული აქვს სამიზნე ნიშნულები. რეგულარულად ხდება სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი. აღსანიშნავია, რომ კურსდამთავრებულთა შეფასების შედეგების მაჩვენებლების მიხედვით 2018, 2019 წლების კურსდამთავრებულებში ფრიადოსნები საერთოდ არ იყვნენ, თუმცა სიტუაცია გამოსწორდა 2020 წელს. ფრიადოსნების არარსებობა, პროგრამის ხელმძღვანელმა, სავარაუდოდ, შეფასების სისტემის ცვლილებას დაუკავშირა. ყველა სასწავლო კურსს მხოლოდ ერთი აკადემიური პერსონალი უძღვება. თუმცა, გამომდინარე იქედან, რომ ერთი და იმავე სწავლის

<p>შედეგზე გასვლა სხვადასხვა საგნის ფარგლებში ხდება, კონკრეტული შედეგების შეფასება ერთზე მეტი შემფასებლის მიერ ხორციელდება. პროგრამაში ჩართულ პერსონალს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის წარმომადგენლების მიერ ჩატარებული აქვთ ტრენინგები.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ თვითსეფასების ანგარიში ○ პროგრამის აღწერა ○ კურიკულუმის რუკა ○ პროგრამის მიზნების შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგებთან ○ ბიოლოგიის დეპარტამენტის აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და ანალიზი 2015, 2016, 2017, 2018, 2019 2020.
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>კურიკულუმის რუკა გაკეთდა სადაც გაიწერა თუ რომელი სასწავლო კურსი უზრუნველყოფს კონკრეტული სწავლის შედეგის განვითარებას სამი პროგრესული დონით - I , P , M.</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="radio"/> გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების აღდევანობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შესაბამისობაშია, საქართველოში და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედ კანონმდებლობასთან. პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მქონე ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც წარმატებით გაიარა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N19/6 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისი პროცედურები და მოიპოვა

უფლება სწავლა გააგრძელოს ანსუ-ში. ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას. შესაბამისად გათვალისწინებულია სათანადო კომპეტენციების მქონე პირთა სასწავლებლად მიღება პროგრამაზე. ამდენად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან (ბიოლოგიის ბაკალავრი). უსდ-ში პროგრამაზე შესაძლებელია მობილობის წესით ჩარიცხვა საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/6 ბრძანებისა და ანსუ-ში მოქმედი სამართლებრივი აქტების (№94(17/18), № 12(17/18)) შესაბამისად.

პროგრამა განთავსებულია ვებ-გვერდზე. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვებასთან დაკავშირებული პროცედურების სამართლიანობას, საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ბიოლოგია“;
- თვითშეფასება (თანდართული დოკუმენტაცია);
- ინტერვიუების შედეგები;
- ანსუ-ს სამართლებრივი აქტები;
- <https://www.atsu.edu.ge>.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შედგენის დროს გათვალისწინებულია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი აქტები, ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემა, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნები, აგრეთვე ანსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პოლიტიკის EP-QA-ის განმსაზღვრელი სამართლებრივი აქტები (ანსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 თებერვლის დადგენილება №49 (17/18)).

წარმოდგენილი ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, შესაბამისობაშია სწავლების საფეხურთან (ბაკალავრიატი) და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან (ბიოლოგიის ბაკალავრი). პროგრამის შინაარსი მოიცავს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. ამდენად, პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა მთლიანობაში უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და მიმართულია უმაღლესი განათლების შესაბამისი აკადემიური საფეხურის (ბაკალავრიატი) სწავლის შედეგების გამომუშავებაზე.

ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS (1 კრედიტს შეესაბამება 25 სთ), რომელიც განაწილებულია 5 კომპონენტში. კერძოდ, I - ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსები (120 ECTS); II.

ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის არჩევითი სასწავლო კურსები (20 ECTS); III. თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები (35 ECTS); IV. თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები (5 ECTS); V. დამატებითი (minor) პროგრამა (60 ECTS);

ექსპერტთა ჯგუფს, ვიზიტის დროს გვექონდა შეკითხვები დამატებით (minor) პროგრამასთან დაკავშირებით, რაც გამონვეული იყო პროგრამაში და თვითშეფასების დოკუმენტში არსებული ბუნდოვანი ჩანაწერით. კერძოდ, სასურველია პროგრამაში მკაფიოდ და ნათლად ჩანდეს, რომ მე-5 კომპონენტის - დამატებითი (minor) პროგრამის - კრედიტებს (60 ECTS) სტუდენტი ირჩევს სხვა დამატებითი (minor) პროგრამებიდან. ვფიქრობთ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სასურველია ინფორმაციის დაზუსტება და მეტი სიცხადე, რაც სტუდენტს მისცემს შესაძლებლობას მისთვის მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით მიიღოს ზუსტი ინფორმაცია. პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსები თანმიმდევრულად და ლოგიკურადაა გადანაწილებული, თითოეული სასწავლო კურსის შემთხვევაში სწორადაა განსაზღვრული შემდგომ სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები. პროგრამაში წარმოდგენილია ბიოლოგიის ტრადიციული დარგები. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა გარდა არჩევითი სასწავლო კურსებისა, დამატებითი სხვა (minor) პროგრამიდან 60 კრედიტის ფარგლებში აირჩიოს მისთვის სასურველი სასწავლო კურსები. შეხვედრის დროს სტუდენტები და კურსდამთავრებულები აღნიშნავენ, რომ პროგრამა უზრუნველყოფს საჭირო უნარების გამომუშავებას. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ სასწავლო კურსზე პასუხისმგებელი აკადემიური პერსონალი მაქსიმალურად ცდილობს საჭირო ცოდნის გაზიარებას სტუდენტებისთვის. კურსდამთავრებული სტუდენტები აღნიშნავენ, რომ მათი სურვილის გათვალისწინებით სასწავლო კურსების ჩამონათვალს დაემატა აკადემიური წერა. გარდა აღნიშნულისა, ზოგიერთი სასწავლო კურსის შემთხვევაში (მოჰყავთ მაგალითები) გაიზარდა პრაქტიკულ სამუშაოებზე დათმობილი საათების რაოდენობა.

რეგიონში პროგრამის მნიშვნელობასთან დაკავშირებით საყურადღებოა დამსაქმებლების ერთსულოვანი შეფასებები. დამსაქმებლები აღნიშნავენ, რომ პროგრამას შეუძლია კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არსებული გამონვევებისა თუ დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე. ამდენად, დღეს არსებულ მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, ვფიქრობთ არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე (არსებულ გამონვევაზე ფეხის ასაწყობად) სასურველია სასწავლო შესაძლებლობების ფარგლებში სასწავლო კურსები მეტად ფოკუსირდეს პრაქტიკული

უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. ვფიქრობთ, აღნიშნულს ხელს შეუწყობს სასწავლო კურსებში პრაქტიკული და ლაბორატორიულ მეცადინეობებზე დათმობილი საათების გაზრდა მათი სპეციფიკისა და თავისებურებების გათვალისწინებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა, და ვიზიტებიდან ირკვევა, რომ პროგრამის შემუშავებაში აქტიურად იღებს მონაწილეობას ყველა დაინტერესებული მხარე: უსდ-ს ადმინისტრაცია, აკადემიური პერსონალი, მონვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი.

უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ანსუ-ის სამართლებრივი აქტები;
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ბიოლოგია“;
- კურიკულუმის რუკა;
- კომპეტენციების რუკა;
- ინტერვიურების შედეგები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასწავლო კურსებში პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობებზე დათმობილი საათები გაიზარდოს მათი სპეციფიკისა და თავისებურებების გათვალისწინებით;
- სასურველია პროგრამაში მკაფიოდ და ნათლად ჩანდეს, რომ მე-5 კომპონენტის, კერძოდ, დამატებითი (minor) პროგრამის (60 ECTS) კრედიტებს სტუდენტი ირჩევს სხვა დამატებითი (minor) პროგრამებიდან;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი სფეროს სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. თითოეულ სასწავლო კურსში განსაზღვრულია საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა. ცალკეული სასწავლო კურსის შემთხვევაში გამოყენებულია შესაბამისი სწავლა-სწავლების მეთოდები.

ბიოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS (1 ECTS მოიცავს 30 საათს), რომელიც განაწილებულია 5 კომპონენტში. სასწავლო კურსის სილაბუსები მოიცავს: სასწავლო კურსის დასახელებას, სასწავლო კურსის კოდს, საგანმანათლებლო საფეხურს, სილაბუსის ავტორს (კერძოდ, განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის საკონტაქტო მონაცემებს), ფაკულტეტს, დეპარტამენტს, საგანმანათლებლო პროგრამას, სემესტრს, სასწავლო კურსის სტატუსს, სწავლების ენას, კრედიტების რაოდენობას (საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის თანაფარდობის გათვალისწინებით), სასწავლო კურსის მიზნებს, ფორმატს, სწავლის შედეგებს, კომპეტენციის ჩამონათვალს, სწავლება/სწავლების მეთოდებს, სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემასა და კრიტერიუმებს, სავალდებულო და დამატებით ლიტერატურას, მეცადინეობის ფორმას.

აღსანიშნავია, რომ ბიოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი თითოეულ სასწავლო კურსში გათვალისწინებულია სილაბუსით განსაზღვრული

კომპეტენციის მიღწევა. შესაბამისად, თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლის მეთოდები და სწავლის შედეგები შეესაბამება, როგორც ამ სასწავლო კურსის შინაარსს ისე, სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოყენებულია შესაბამისი მეთოდები. რაც შეეხება გამოყენებულ ლიტერატურას, სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ძირითადად შესაბამისობაშია სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან.

ინტერვიუების დროს, სტუდენტები დადებითად აფასებენ პროგრამაში წარმოდგენილ სასწავლო კურსებს, ასევე აღნიშნავენ, რომ მათი სურვილი გარკვეულწილად გათვალისწინებულია და ზოგიერთ სასწავლო კურსში გაზრდილია პრაქტიკული მცადინეობების საათების რაოდენობა. მიუხედავად აღნიშნულისა, სტუდენტებმა კვლავ გამოთქვეს სურვილი პრაქტიკული მცადინეობების საათების გაზრდასთან დაკავშირებით ზოგიერთი სასწავლო კურსის შემთხვევაში. აკადემიური პერსონალის მხრიდან მივიღეთ ამომწურავი პასუხები სასწავლო კურსებში პრაქტიკული და ლაბორატორიული კომპონენტის გაზრდასთან დაკავშირებით. კერძოდ, აღინიშნა რომ ამ მიმართულებით უკვე განხორციელდა ცვლილებები სტუდენტების მოთხოვნის შესაბამისად, კერძოდ რამდენიმე სასწავლო კურსის შემთხვევაში გაიზარდა პრაქტიკული მცადინეობების საათების რაოდენობა. გარდა აღნიშნულისა, ეტაპობრივად დაგეგმილია ცვლილებები.

ასევე, პროგრამის განვითარებისთვის განსაკუთრებით სასარგებლო იქნება სტუდენტებს ჰქონდეთ, თუნდაც არჩევითი სახით საბაკალავრო ნაშრომის/კვლევითი პროექტის მომზადების შესაძლებლობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ბიოლოგია“;
- თვითშეფასება (თანდართული დოკუმენტაციით);
- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- ინტერვიუების შედეგები;
- ანსუ-ს ბიბლიოთეკა <https://library.atsu.edu.ge/>.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის განვითარებისთვის განსაკუთრებით სასარგებლო იქნება სტუდენტებს ჰქონდეთ, თუნდაც არჩევითი სახით, საბაკალავრო ნაშრომის/კვლევითი პროექტის მომზადების შესაძლებლობა. ვფიქრობთ, აღნიშნული სტუდენტს დაეხმარება დამოუკიდებელი სამეცნიერო პროექტის განხორციელებისთვის საჭირო მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების გამომუშავებაში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

ბევრი სასწავლო კურსის სილაბუსი გადაიხედა/შეიცვალა, დაიხვეწა შეფასების სისტემები.

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
 - X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებისათვის პროგრამის სასწავლო კურსებში (როგორც სავალდებულო, ისე თავისუფალ არჩევითი) გათვალისწინებულია პრაქტიკული და ლაბორატორიული კომპონენტები. სამეცნიერო კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავებას ხელს უწყობს აკადემიური წერა. გარდა აღნიშნულისა, ბიოლოგია“ მოიცავს სასწავლო საველე პრაქტიკას ბოტანიკასა და ზოოლოგიაში, რაც ხელს უწყობს

პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა და სამეცნიერო საბაზისო უნარების გამომუშავებას. ანსუ სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას ჩაერთონ სამეცნიერო კონფერენციებში. სასწავლო-საველე პრაქტიკის გავლის პერიოდში ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტში ჩართვის შემთხვევაში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს სფეროს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი. პრაქტიკის შემთხვევაში ფასდება სტუდენტის საქმიანობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ვიზიტებიდან ირკვევა, რომ უსდ-ს აქვს გაფორმებული მემორანდუმები სხვადასხვა დამსაქმებელთან, რომელშიც გათვალისწინებულია სტუდენტების რაოდენობა, პრაქტიკის მიზანი და ხანგრძლივობა. პროგრამის რამდენიმე სტუდენტი ჩართული არის საერთაშორისო კვლევითი პროექტის განხორციელებაში სოფლის მეურნეობის მიმართულეებით.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ბიოლოგია“;
 - მემორანდუმი-უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი „საგარეო საკითხებისათვის მოქალაქეთა ქსელის ფილიალი - CNFA საქართველო“;
 - ინტერვიუების შედეგები (პროგრამის ხელმძღვანელთან, ადმინისტრაციასთან, ხარი-სხის უზრუნველყოფის სამსახურთან, სტუდენტებთან)

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
 - X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლების შედეგების მისაღწევად სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, სასწავლო კურსებში გამოიყენება შესაბამისი სწავლების/სწავლის მეთოდები, რომლებიც თავსებადობაშია უმაღლესი განათლების შესაბამის აკადემიურ საფეხურთან (ბაკალავრიატი). ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, გამოყენებულია სწავლების შემდეგი მეთოდები: ლექცია, პრაქტიკული და ლაბორატორიული მუშაობები, დამოუკიდებელი მუშაობა, ასევე ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი, პრაქტიკული, ლაბორატორიული, ჯგუფური მუშაობის, წერიითი მუშაობის, ახსნა-განმარტებითი, ანალიზის, სინთეზის, დისკუსია/დებატების, ინდუქციური და დედუქციური, დემონსტრირებისა და დაკვირვების მეთოდები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ბიოლოგია“
- თვითშეფასება (თანდართული დოკუმენტაციით);
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- შეხვედრები აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
○
შეფასება
<p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
<p>აწსუ-ში ბიოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 (05.01.2007) ბრძანებით და უსდ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით № 5, (17/18) 15.09. კერძოდ, პროგრამის სტუდენტის შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი მრავალკომპონენტური სისტემით (შუალედური შეფასება და დასკვნითი გამოცდა). თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების შეფასების კომპონენტები და მეთოდები გამომდინარეობს პროგრამის მიზნებიდან და თავსებადობაშია შესაბამისი სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან. შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის კომპონენტები უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების თანმიმდევრულ და გამჭვირვალე შეფასებას. დასკვნითი გამოცდისთვის (გამოცდაზე დაშვების წინაპირობა, ასევე დასკვნით გამოცდაზე მიღებული მინიმალური შეფასება) დადგენილია შესაბამისი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. გარდა აღნიშნულისა, სასწავლო კურსის შეფასების სისტემაში</p>

<p>თითოეული კომპონენტისთვის გათვალისწინებულია შეფასების რუბრიკა, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის გამჭვირვალეობას. სასწავლო კურსის სილაბუსები განთავსებულია სასწავლო პროცესის მართვის ინფორმაციულ სისტემაში. გამოცდების ჩატარების პროცესს წარმართავს ანსუ-ს საგამოცდო ცენტრი. გამოცდებთან დაკავშირებით საჭირო ინფორმაცია თავსდება ვებ-გვერდზე. შეფასების სისტემაში დაცულია სტუდენტის უფლება გაასაჩივროს მიღებული შედეგები უსდ-ს განსაზღვრული სამართლებრივი პროცედურების შესაბამისად. კერძოდ, უსდ-ში შესაბამისი ნორმატიული აქტით (კერძოდ, აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის №9 (17/18) დადგენილება) რეგულირდება აპელაციის პროცედურა. შესაბამისად, სტუდენტი უფლებამოსილია შესაბამისი პროცედურების დაცვით მიმართოს რექტორის მოადგილეს და შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს შედეგების გადასინჯვის მოთხოვნით. სწავლის შედეგებთან დაკავშირებით პროგრამის სტუდენტები იღებენ უკუკავშირს.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ბიოლოგია“; ○ სასწავლო კურსების სილაბუსები; ○ ანსუ-ს სამართლებრივი აქტები; ○ შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების გზამკვლევი; ○ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გაიარონ კონსულტაცია აკადემიურ პერსონალთან, ამისთვის გამოყოფილია კონკრეტული საათი და აუდიტორია.

უნივერსიტეტში არსებობს ინფორმირების ელექტრონული სერვისები. გარდა უნივერსიტეტის ვებ-გვერდისა, აქტიურად გამოიყენება მობილური აპლიკაცია ATSU NEWS და ელექტრონული პორტალი eFlow. ძირითად საკომუნიკაციო საშუალებას წარმოადგენს კორპორაციული ფოსტა. პანდემიის პირობებში, დისტანციური სწავლების რეჟიმში უსდ სტუდენტებს უზრუნველყოფს Microsoft Teams პლატფორმაზე ულიმიტო

წვდომით.

უნივერსიტეტში აქტიურად ფუნქციონირებს სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვისები, როგორცაა: სტუდენტთა კარიერული განვითარების ხელშეწყობა; სტუდენტთა ომბუდსმენი; სტუდენტთა ფსიქოთერაპევტი. სტუდენტებს საკონსულტაციო მომსახურების მიღების საშუალება აქვთ ცენტრალური ბიბლიოთეკის მიმღებში.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც იცავს სტუდენტის უფლებებს და წარმოადგენს მათ ინტერესებს ადმინისტრაციულ რგოლში. გარდა ამისა, სტუდენტური თვითმმართველობა ორგანიზებას უწევს გასართობ, სპორტულ და სხვა ღონისძიებებს.

უნივერსიტეტში აქტიურად ფუნქციონირებს სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრი, რომელიც მუდმივად ახორციელებს შრომის ბაზარზე ვაკანსიების მონიტორინგს და პოტენციური დამსაქმებლების მოზიდვას. გარდა ამისა, მუდმივადაც თანამშრომლობს გარკვეულ კომპანიებთან, რომლებშიც სტაჟირებას გადიან ან შემდგომ საქმედებიან სტუდენტები. ინტერვიუების შედეგებმა ცხადყო, კურსდამთავრებულთა გარკვეული ნაწილი საკუთარი პროფესიითაა დასაქმებული და უმეტეს შემთხვევაში უნივერსიტეტი იყო დამაკავშირებელი რგოლი დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის.

უსდ-ში ყოველწლიურად ტარდება კონფერენციები და ინტერვიუებმაც ცხადყო, რომ სტუდენტებიც აქტიურად არიან ჩართულნი. რამდენიმე სტუდენტი ასევე ჩართულია USAID-ის ორგანიზებულ კვლევით პროექტში, რომელიც ხორციელდება სოფლის მეურნეობის მიმართულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ბიბლიოთეკის დისტანციური დათვალიერება;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- საბაკალავრო პროგრამის „ბიოლოგია“ სტუდენტების საერთაშორისო პროექტის განხორციელებაში ჩართულობის შესახებ;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

○

მტკიცებულებები/ინდიკატორები

○

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მონვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა

მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მონვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

○ **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 2 პროფესორი, 29 ასოცირებული პროფესორი და ენების შემსწავლელი ცენტრის მასწავლებლები. პროგრამაში მონაწილე ყველა აკადემიური პერსონალი აფილირებულია ანსუ-თან. აკადემიური პერსონალის შერჩევა და დანიშვნა ხდება ღია კონკურსის საფუძველზე. მონვეული პერსონალი პროგრამაში ჩართული არ არის. განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულები არიან კანონმდებლობისა და ანსუ-ს შიდა რეგულაციების შესაბამისად. პერსონალის ნაწილს გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფიები და წიგნები, რომლებსაც იყენებენ თავიანთი სასწავლო კურსის ფარგლებში. ასევე გამოქვეყნებული აქვთ სტატიები, თუმცა ძირითადად ქართულ რეფერირებად ჟურნალებში და მითითებული საერთაშორისო ჟურნალები არ იძებნება SCOPUS-ის ბაზაში. ასევე, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ნაკლებია სამეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობა, მათ შორის უცხოური ფონდების მიერ დაფინანსებულ პროექტებშიც. ანსუ გამოყოფს შიდა გრანტებს კვლევითი საქმიანობისთვის და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ამ შესაძლებლობას იყენებს. უნივერსიტეტს აქვს აკადემიური პერსონალის სემესტრულად განახლებადი დატვირთვის სქემა, რომელიც მოიცავს სასწავლო საკონტაქტო, სასწავლო-მეთოდურ და სამეცნიერო-მეთოდურ მუშაობას და შეადგენს 1500 საათს. მათ შორის: ა) 500 სთ. - სასწავლო დატვირთვა (სასწავლო-საკონტაქტო, სასწავლო-მეთოდური, სასწავლო - ორგანიზაციული); ბ) 1000 სთ. - სამეცნიერო-მეთოდური მუშაობა. ანსუ-ს შემუშავებული აქვს სპეციალური ელექტრონული ფორმა, რომლითაც ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში აკადემიური პერსონალის დატვირთვა იგეგმება. აკადემიური პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში. ყველა საგნის სილაბუსში მითითებულია სტუდენტთა კონსულტაციების აუდიტორია. ხოლო დრო კი, სტუდენტებთან შეთანხმებით განისაზღვრება. აკადემიური პერსონალი მონაწილეობს პროგრამის

განვითარების პროცესებში. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია შესაბამისი განათლება და პროფესიული გამოცდილება. გარდა იმისა, რომ ის არის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ასევე წარმოადგენს ანსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების განყოფილების უფროსს. პროგრამის განხორციელებას და მონიტორინგს უზრუნველყოფს ფაკულტეტის ადმინისტრაცია. ბიბლიოთეკაში, კომპიუტერულ კლასში, სტუდენტურ სერვისებში, დეკანატში მომუშავე სპეციალისტები და დამხმარე პერსონალი ასევე ჩართულია პროგრამის განხორციელებაში. დამხმარე პერსონალის ძირითადი პასუხისმგებლობები და ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია თანამდებობრივი აღმწერებით, რომელიც თან ერთვის ფაკულტეტის დებულებას. აღსანიშნავია, რომ როგორც სტუდენტები, ისე კურსდამთავრებულები განსაკუთრებულად ხაზს უსვამენ პროგრამაში ჩართული პერსონალის კეთილგანწყობილ, მხარდამჭერ და სტუდენტზე ორიენტირებულ დამოკიდებულებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემები (CV-ები)
- სილაბუსები
- ანსუ-ს წარმომადგებლობითი საბჭოს დადგენილება №173. 28.02.2018. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების მიხედვით აკადემიური და მონვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ
- 2019 წლის 10 ივლისის აკადემიური საბჭოს №65 (18/19) დადგენილება: „აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის და ხელშეკრულებით მონვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო და სამეცნიერო მეთოდური დატვირთვის ნორმები“
- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- კარგი იქნება მონვეული პერსონალის ჩართვა, რაც მრავალფეროვნებას და ახალ პერსპექტივებს შეიტანს პროგრამაში.
- სასურველია პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესება, რაც გაზრდის მათ სამეცნიერო პროექტებში წარმატებით მონაწილეობის შესაძლებლობას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მონვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დანესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მონვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მონვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აწუ რეგულარულად აწარმოებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებას. შესაფასებლად გამოიყენება სასწავლო წლის ფარგლებში წინასწარი ინდივიდუალური დატვირთვით განსაზღვრული სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური საქმიანობის შეფასება. 2017 წლიდან წარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასება კოლეგიალური ურთიერთდასწრების პოლიტიკის საშუალებით. გარდა ამისა მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახური, ასევე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს სტუდენტების კმაყოფილების კვლევას. შეფასების შედეგები გათვალისწინებულია პერსონალის წახალისებისას. აკადემიური

პერსონალის განვითარების მიზნით აწსუ-ში ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები: ტრენინგებზე და სამეცნიერო კონფერენციებზე მივლინება; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაგეგმილი ტრენინგები; აწსუ-ს ანაზღაურებადი სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულება; უცხო ენის შემსწავლელი კურსები (რაც იმის გათვალისწინებით, რომ პერსონალის უდიდესი ნაწილი საჭიროებს ინგლისური ენის შესწავლას/გაუმჯობესებას ძალზე მნიშვნელოვანია); სამეცნიერო კონფერენციების სერვისები. ამ უკანასკნელთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში პერსონალი ძირითადად საქართველოში გამართულ კონფერენციებში მონაწილეობდა. ასევე აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში ნაკლებად შეინიშნება როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი ფონდების მიერ დაფინანსებულ პროექტებში მონაწილეობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემები (CV)
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა EP-QA 1.2
- ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა. ურთიერთდასწრების ოქმები.
- სტუდენტების კმაყოფილების კვლევა
- აწსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურები
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- უნდა მომზადდეს ბევრი საპროექტო წინადადება როგორც ადგილობრივი ისე საერთაშორისო ფონდებისთვის და გაიზარდოს პერსონალის ჩართულობა სამეცნიერო პროექტებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პერსონალი წახალისდეს და დატრენირდეს საპროექტო წინადადებების მომზადებაში.
- სასურველია აქცენტი გაკეთდეს კვლევების გამოქვეყნებაზე ისეთ სამეცნიერო ჟურნალებში, რომლებიც შედის SCOPUS და Web of Science-ის ბაზებში და განისაზღვროს გამოსაქვეყნებელი ჟურნალების მინიმალური იმპაქტ ფაქტორი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
○
შეფასება
<p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

4.3 მატერიალური რესურსი
<p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p>
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
<p>ბიბლიოთეკის ვებ-გვერდი (2018 წლიდან ორენოვანია). პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ლიტერატურა ხელმისაწვდომია ელექტრონულ კატალოგში. შესაძლებელია ელექტრონული დაჯავშნა, წიგნების ელექტრონული შეკვეთა და სხვა. ელექტრონულ კატალოგში ჩაშენებულია გაცითროვნებული გუტენბერგის ბიბლიოთეკა. ანსუ-ს ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს წვდომას სამეცნიერო ბაზებზე, როგორებიც არის EBSCO, ScienceDirect, BioOne. ბეჭდურის გარდა, ბიბლიოთეკას გააჩნია ელექტრონული რესურსები და საჭროების შემთხვევაში ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს ბეჭდური სასწავლო მასალების ელექტრონულ ფორმაში გადატანას. ბიბლიოთეკის რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის; სტუდენტები ინფორმირებულები არიან ბიბლიოთეკის საშუალებით ხელმისაწვდომი ბაზების შესახებ, რაც მათთან ინტერვიუს დროსაც აღინიშნა.</p> <p>პროგრამის განხორციელებისთვის გამოიყენება ანსუ V კორპუსში არსებული სალექციო</p>

აუდიტორიები და სასწავლო ლაბორატორიები, როგორებიც არის: უმაღლესი ნერვული მოქმედების კვლევითი ლაბორატორია, გენეტიკის ლაბორატორია, ჰერბარიუმი, მიკრობიოლოგია-ვირუსოლოგიის ლაბორატორია, ადამიანის ნორმალური ანატომიის ლაბორატორია, ციტოლოგია, ჰისტოლოგიის ლაბორატორია, მცენარეთა ბიოლოგიის ლაბორატორია, ზოოლოგიის და ეკოლოგიის კაბინეტი, ზოოლოგიის მუზეუმი. ანსუ-ს ასევე გააჩნია საკუთარი ვივარიუმი.

ვიზიტის ფარგლებში საშუალება გვქონდა დაგვეთვალიერებინა ზემოთ ჩამოთვლილი ლაბორატორიების უმეტესი ნაწილი, ჰერბარიუმი, ზოოლოგიური მუზეუმი და ვივარიუმი. უნივერსტიეტში ხელმისაწვდომია რამდენიმე კომპიუტერული ცენტრი. უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტების გამოკითხვის მიხედვით მათ დიდ ნაწილს, არ აკმაყოფილებს არსებული სასწავლო და სამეცნიერო აღჭურვილობა; არსებული ლაბორატორიული დანადგარები. ინტერვიუების დროს სტუდენტების და კურსდამთავრებულების ნაწილმა დაგვიდასტურა, რომ ისურვებდნენ უფრო თანამედროვე ბიოლოგიური მეთოდების შესაბამის ლაბორატორიულ აღჭურვილობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ანსუ-ს ბიბლიოთეკა <https://library.atsu.edu.ge/>
- სტუდენტების გამოკითხვის შედეგები
- ვიზიტი დათვალიერება
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- მაქსიმალურად თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გახდეს სასწავლო და სამეცნიერო აღჭურვილობა და ლაბორატორიული დანადგარები.
- ბევრი საგრანტო წინადადება მომზადდეს, რომლის ბიუჯეტის დიდი ნაწილიც კონცენტრირდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება/განახლებაზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)

○

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტის გაანგარიშება ხდება უნივერსიტეტის ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის მიერ შემუშავებული დოკუმენტით, რომელიც საერთოა ანსუ-ში განხორციელებული ყველა პროგრამისთვის. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით უნივერსიტეტის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის საფასურიდან მისაღები შემოსავალი. ბიოლოგიის პროგრამის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურისთვის განსაზღვრული ხარჯები ძალიან მოკრძალებულია. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში 2014-2020 წლებში საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის საფასურიდან მიღებული შემოსავლები ყოველწლიურად მზარდი იყო, თუმცა ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე მიღებული სტუდენტების რაოდენობა, კლებად ტენდენციას ავლენდა. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ დაგვიდასტურა, რომ ამ ეტაპისთვის პროგრამის შემოსავლები თვითკმარია, თუმცა საჭიროების შემთხვევაში ისინი მზად არიან გამოიხილონ დამხმარე სახსრები პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებისთვის. ანსუ-ში შემუშავებულია ანგარიშვალდებულების ფინანსური

<p>მართვისა და კონტროლის სისტემა. დაგეგმილი ბიუჯეტის შესრულებისა და კონტროლის მიზნით, უნივერსიტეტში დანერგულია ფინანსური მართვის სისტემა.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში ○ პროგრამის ბიუჯეტი ○ ანსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება №175, 28.02.2018 -აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფის დასაბუთების პრინციპების შესახებ
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ აჯობებს ბიუჯეტის შედგენის წესი/ფორმა ადაპტირდეს ბიოლოგიის პროგრამისთვის და მეტი აქცენტი გაკეთდეს ლაბორატორიების განახლებაზე.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადანყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ოპერირებს "დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე" (PDCA) პრინციპით. 2015-2018 წლებში აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კონცენტრირდა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების დახვეწასა და განვითარებაზე, რომელიც მოიცავდა საგანმანათლებლო პოლიტიკისა და მარეგულირებელი დოკუმენტების გამართულობას; საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული შეფასებასა და ყოველწლიურ ანგარიშებს; სტუდენტთა გამოკითხვას სწავლების პროცესისა და აკადემიური პერსონალის შესახებ და მათი მოსაზრებების გათვალისწინებას და სხვა. „უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“ ითვალისწინებს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესის განვითარებას ფაკულტეტის სპეციფიკის გათვალისწინებითა და ავტონომიურობის დაცვით. უნივერსიტეტში ხარისხის შიდა სისტემა ეფუძნება სამ ძირითად პოლიტიკას: I. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკას - EP-QA; II. კვლევის განვითარების პოლიტიკას - RE-QA და III. მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკას - ME-QA. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

რეგულარულად აწარმოებს სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვას და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე ატარებს პროგრამის გასაუმჯობესებელ ღონისძიებებს. ინტერვიუების დროს ყველა ზემოთხსენებულმა რგოლმა დაადასტურა გამოკითხვებში მონაწილეობა. ანსუ-ში ასევე დანერგილია კოლეგების დასწრება ლექცია/პრაქტიკულ მეცადინეობებზე და კოლეგიალური შეფასებები. 2019 წლის პირველ ნახევარში ანსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გამოავლინა ის საჭიროებები, რომლებიც ჰქონდა აკადემიურ პერსონალს სასწავლო კურსებში სწავლის შედეგების განერის, კურიკულუმის რუკის შედგენის, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების განსაზღვრისა თუ სხვა მხრივ და ჩაატარა ტრენინგები პროგრამების ხელმძღვანელებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. შეცვლილი კურიკულუმი, სილაბუსები და ა.შ. მიუთითებს რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის გასაუმჯობესებლად. ასევე შეხვედრებზე გამოიკვეთა პერსონალის ჩართულობა პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში. თვითშეფასების ანგარიშის, დოკუმენტების გაცნობისა თუ ინტერვიუების დროს აშკარად იკვეთება ანსუ-ის განსაკუთრებული აქცენტი ხარისხის განვითარების საკითხებზე და შესაბამისი სამსახურების ინტენსიური მუშაობა პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიმართულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“. ანსუ აკადემიური საბჭოს დადგენილება - №49 (17/18), 09.02.2018
- გამოკითხვების შედეგები
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)

-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ესდ თანამშრომლობს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრთან, როგორც ძირითად გარე შემფასებელთან (ბოლო აკრედიტაციის თარიღი 23.09.2011).

უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან და კოლეგა დარგის სპეციალისტებისგან იღებს გარე შეფასებებს. ესდ-მ წარმოადგინა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის შეფასება პროგრამის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- დასკვნა საბაკალავრო პროგრამაზე „ბიოლოგია“;
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან და დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- კარგი იქნება, თუ პროგრამის შეფასების პროცესში უცხოელი ექსპერტიც ჩაერთვება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მონვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ესდ პროგრამის შეფასებისთვის იყენებს როგორც შიდა, ისე გარე შეფასების მექანიზმებს. შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუების შედეგების მიხედვით, პროგრამის შეფასება პერიოდულ ხასიათს ატარებს, რაც დადასტურდა წარმოდგენილი დოკუმენტაციებისა და შეხვედრების დროს. პროგრამაში ჩართული დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით გამოკითხვის შედეგების საფუძველზე ხდება პროგრამაში დასახული სწავლის შედეგების ანალიზი და საჭიროებიდან გამომდინარე შესაბამისი ცვლილებების განხორციელება. ესდ-ს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და შეფასების პროცესის წარმართვა ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურის მიხედვით (EP-QA-1.2). პროცესის წარმართვისათვის ხორციელდება დაინტერესებული პირების (სტუდენტი, პედაგოგი,

დამსაქმებელი, კურსდამთავრებული) გამოკითხვები, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი, პროგრამაში ჩართული პირების (აკადემიური, მოწვეული) განვითარების ანალიზი, კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრაციის ანალიზი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ანალიზი, ურთიერთდასწრების პროცესის ანალიზი. ამდენად, პროგრამის მონიტორინგში და პერიოდულ შეფასებაში აქტიურ მონაწილეობას იღებს ყველა დაინტერესებული მხარე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აწსუ-ს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტები და აკადემიური საბჭოს დადგენილებები;
- ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა;
- სტუდენტების გამოკითხვების შედეგები;
- აკადემიური მოსწრების ანალიზი;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი;
- აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევა.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: „ბიოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 41

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ეკა ლეფსვერიძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი

ირინა ნაკაშიძე



თამარ ხატისაშვილი

